VI საერთაშორისო კონფერენცია

„ქართულ-ოსურ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები“

კონფერენცია ეძღვნება
დანიელ ჭონქაძესა და ვასილ ცორაევს

VI INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE

"DEVELOPMENT OF GEORGIAN-OSSETIAN RELATIONSHIP"

THE CONFERENCE IS DEDICATED TO
DANIEL TCHONKADZE AND VASIL TSORAEV

მასალები
Proceedings

13-15
ოქტომბერი/October
თბილისი/Tbilisi
2020

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ქართულ-ოსურ ურთიერთობათა
სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
სახელმწიფო ენის დეპარტამენტი
გიორგი ახვლედიანის სახელობის ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოება
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
RESEARCH CENTER FOR GEORGIAN-OSSETIAN RELATIONSHIP
MINISTRY OF EDUCATION, SCIENCE, CULTURE AND SPORT
STATE LANGUAGE DEPARTMENT
GIORGI AKHVLEDIANI SOCIETY FOR THE HISTORY OF LINGUISTICS

VI საერთაშორისო კონფერენცია

„ქართულ-ოსურ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები“

კონფერენცია ეძღვნება
დანიელ ჭონქაძესა და ვასილ ცორაევს

VI INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE

"DEVELOPMENT OF GEORGIAN-OSSETIAN RELATIONSHIP"

THE CONFERENCE IS DEDICATED TO
DANIEL TCHONKADZE AND VASIL TSORAEV

მასალები
Proceedings

13-15
ოქტომბერი/October
თბილისი/Tbilisi
2020

IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
RESEARCH CENTER FOR GEORGIAN-OSSETIAN RELATIONSHIP
MINISTRY OF EDUCATION, SCIENCE, CULTURE AND SPORT
STATE LANGUAGE DEPARTMENT
GIORGI AKHVLEDIANI SOCIETY FOR THE HISTORY OF LINGUISTICS

VI INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE

"DEVELOPMENT OF GEORGIAN-OSSETIAN RELATIONSHIP"

THE CONFERENCE IS DEDICATED TO
DANIEL TCHONKADZE AND VASIL TSORAEV

Proccedings

13-15 October
Tbilisi
2020

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
სახელმწიფო ენის დეპარტამენტი
გიორგი ახვლედიანის სახელობის ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოება

VI საერთაშორისო კონფერენცია

„ქართულ-ოსურ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები“

კონფერენცია ეძღვნება
დანიელ ჭონქაძესა და ვასილ ცორაევს

მასალები

13-15 ოქტომბერი
თბილისი
2020

მთავარი რედაქტორი – ნაირა ბეპიევი

სარედაქციო ჯგუფი: ნინო პოპიაშვილი
რაზიათ ქუმარიტოვი
თამარ გელაშვილი

Chief Editor – Naira Bepievi

Editorial Group: Nino Popiashvili
Raziat Kumaritovi
Tamar Gelashvili

ავტორთა სტილი დაცულია
The authors' style is retained
Стиль авторов сохранен

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2020

ISBN 978-9941-13-963-5

საორგანიზაციო კომისია:

გიორგი შარვაშიძე – რექტორი – საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარე;
ნუნუ მიცკევიჩი – საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე – საორგანიზაციო კომისიის წევრი;
ლია გიგაური – შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე – საორგანიზაციო კომისიის წევრი;
ლაშა საღინაძე – უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი – საორგანიზაციო კომისიის წევრი;
გიორგი ალიბეგაშვილი – სახელმწიფო ენის დეპარტამენტის თავჯმდომარე – საორგანიზაციო კომისიის წევრი;
მზექალა შანიძე – უნივერსიტეტის ემერიტუსი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი, აკადემიკოსი – საორგანიზაციო კომისიის წევრი;
თამაზ გამყრელიძე – უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო პრეზიდენტი – საორგანიზაციო კომისიის წევრი;
ნანა გაფრიდაშვილი – უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი – საორგანიზაციო კომისიის წევრი;
ავთანდილ არაბული – უნივერსიტეტის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი – საორგანიზაციო კომისიის წევრი;
ნაირა ბეპიევი – უნივერსიტეტის ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო კვლევითი ცენტრის დირექტორი, ფილოლოგიის დოქტორი – საორგანიზაციო კომისიის წევრი;
ელენე ბესოლოვა – პროფესორი, ვასილ აბაევის სახელობის ჩრდილო ოსეთის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სახელმწიფო კვლევითი ინსტიტუტი – საორგანიზაციო კომისიის წევრი;
თინათინ ბოლქვაძე – ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი – საორგანიზაციო კომისიის წევრი;
მანანა გელაშვილი – ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი – საორგანიზაციო კომისიის წევრი;
თამარ გელაშვილი – ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი – საორგანიზაციო კომისიის წევრი;
ვიტორიო სპრინგფილდ ტომელერი – მაჩერატას უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი – საორგანიზაციო კომისიის წევრი;
სონია ფრიტცი – გოეთეს ფრანკფურტის უნივერსიტეტი, პროფესორი – საორგანიზაციო კომისიის წევრი;
ირმა რატიანი – პროფესორი, თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი – საორგანიზაციო კომისიის წევრი;
ნანა მაჭავარიანი – ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორიდ საორგანიზაციო კომისიის წევრი;
თინათინ მარგალიტაძე – ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ლექსიკოგრაფიული ცენტრის უფროსი – საორგანიზაციო კომისიის წევრი;
მაია გურაბანიძე – უნივერსიტეტის მუზეუმის დირექტორი – საორგანიზაციო კომისიის წევრი;
ზურაბ გაიპარაშვილი – უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი – საორგანიზაციო კომისიის წევრი;
გიორგი ღვედაშვილი – სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსი – საორგანიზაციო კომისიის წევრი;
არჩილ კუკულავა – იურიდიული დეპარტამენტის უფროსი – საორგანიზაციო კომისიის წევრი;
ნანა მამაგულიშვილი – უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი – საორგანიზაციო კომისიის წევრი;
ირაკლი საღარეიშვილი – საფინანსო დეპარტამენტის უფროსი – საორგანიზაციო კომისიის წევრი;
ნინო პოპიაშვილი – ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი სპეციალისტი – საორგანიზაციო კომისიის წევრი;
გიორგი ტალახაძე – მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი – საორგანიზაციო კომისიის წევრი.

especially starting from the 2000s and in subsequent years, new social and cultural facilities and infrastructure were built. Gas pipelines, water supply and sewerage systems have been installed in many villages, asphalt and gravel roads have been laid, streets received illuminations and names, and houses on them have been numbered; branches of multifunctional centers, fire departments, Sberbank and Agricultural Bank of Russia with ATMs have appeared, allowing you to receive wages and pay for utilities with debit cards; telephones (payphones), mobile communications, Internet and Wi-Fi, mobile and fiber-optic communication stations, public (and private) digital television, which provided numerous channels via satellite dishes. Educational, sport, cultural and medical institutions were further developed – secondary schools and preschool institutions, sports facilities, work-out sites, medical institutions.

ალექსანდრე რუსეცკი
პოლიტიკური ფსიქოლოგიის დოქტორი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

წმინდანთა როლი ცხინვალის კონფლიქტის მოგვარებაში

მოხსენებაში წარმოდგენილია წმინდა გიორგის განსაკუთრებული როლი ცხინვალის კონფლიქტის მოგვარების საკითხში. ასევე წარმოდგენილია (2003-2012 წლებში) საქართველოში მის მიმართ მიმართული იდეოლოგიური აგრესიარომელიც მიზნად ისახავდა - წარმართული კერპების პოპულარიზაციას. ეს ხელს უწყობდა საზოგადოების გახლეჩას, სამოქალაქო დაპირისპირებას და მართლმადიდებლური ეკლესიის ზეგავლენის შემცირებას.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველთა და ოსთა ეროვნული განვითარების პარადიგმა მიმდინარეობდა ავტონომიურად, მათ ჰქონდათ არა ერთი გადაკვეთის წერტილი, სივრცე და საერთო განვითარების ისტორიაც. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ თვალსაზრისით ქართველთა და ოსთა ინტეგრაცია ქრისტიანულ სამყაროში და არა მხოლოდ ზოგადად ქრისტიანული ეკლესიის წმინდანების მიმართ პატივისცემა, არამედ განსაკუთრებული პატივისცემა წმინდა გიორგის მიმართ, რაც აისახება როგორც მათი სალოცავების, ასევე მათი წეს-ჩვეულებების კულტურაში.

როგორც არის აღნიშნული ისტორიკოს მ. მამიევის მიერ - „ეროვნულ ცნობიერებაში მისი ხატი აღიქმებოდა როგორც ტრადიციული ოსური პანთეონის წმინდა „უასტირჯის“ ხატი, როგორც მამაკაცების, მებრძოლეების და მგზავრების მფარველი“.

დიდი ოსი მეცნიერის - ვასილ აბაევის ეტიმოლოგიის მიხედვით, „უასტირჯი“ არის წმინდა გიორგის ოსური (ირონული) ფორმა. „უას“ ოსურად ნიშნავს „წმინდანს“, „სტირ“ – „დიდებულს“, ხოლო „ჯი“ – „გიორგის“. ასე რომ გამოდის - „წმინდა დიდებული გიორგი“. დიგორთა დიალექტზე კი შენარჩუნებულია აბაევის მიხედვით ძველი ფორმა - „უას გერგი“[1] .

ოსური ელიტის ნაწილი ცდილობს გამონახოს „უასტერჯიში“ ოსთა ეროვნული იდენტობის დომინირებული გამაერთიანებელი ფუძე. ამით კი ახდენს დისტანცირებას არა მხოლოდ ქრისტიანულ სამყაროსგან, არამედ ისლამურ სამყაროსგანაც.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბოლო 20 წლის განმავლობაში, სეცესიონისტური ხელისუფლებები ცდილობენ მოახდინონ ხალხის კონსოლიდაცია ძველი

წარმართული სიმბოლოების გარშემო, რაც სცილდება მხოლოდ რელიგიურ განზომილებას. ეს ასუსტებს ტრადიციული რელიგიების ზეგავლენას და პირველ რიგში მართლმადიდებლობას.

ამას ასევე ხელს უწყობს დაპირისპირება რუსულ და ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიებს შორის. ოსები ამ თვალსაზრისითაც არიან გაყოფილნი რამდენიმე ნაწილად. ნაწილი წარმოადგენს მოსკოვის საპატრიარქოს მრევლს, ნაწილი კი საქართველოს საპატრიარქოს მრევლს.

წარმართულ კერპებზე ორიენტირებული სახელმწიფო და საერთაშორისო პოლიტიკა

არ წარმოადგენს სიახლეს არც თბილისისთვის. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი გამორჩეული კერპი - „პრომეთეა“.

საქართელოს უახლეს ისტორიაში (2003-2012) წლებში მიმდინარეობდა „პრომეთეს“ აქტიური პროპაგანდა. მისი სახელი დაარქვეს ქუთაისთან არსებულ უნიკალურ მღვიმეს, კინოფესტივალს, დედაქალაქის ცენტრში კი პრომეთეს ძეგლი დაიდგა. მნიშვნელოვანია, რომ საუბარია პრომეთეზე და არა მის ქართულ-ირანულ ანალოგზე - ამირანზე. აქ ჩვენ ნათლად ვხედავთ ბერძნული წარმართული და ირანული წარმართული სახელწოდებების შერკინებას.

ოსური მითების სტრუქტურა მდიდარია სხვადასხვა დემონური ტიპის პერსონაჟებით, რომლებიც შინაარსობრივად ახლოს არიან „პრომეთესთან“. ამავე დროს, როგორც აღნიშნავენ მკვლევარები, ბერძნული გმირისგან განსხვავებით ისინი მოკლებულები არიან „კაცთმოყვარეობას“, წარმოადგენენ ბოროტი გმირების გალერეას და უახლოვდებიან ამით სატანის პერსონაჟს. „სატანა და ართაუზი უფლის მიერ იყვნენ შექმნილები სიკეთისათვის, მაგრამ უფალმა ისინი დასაჯა ჩადენილი ღალატისათვის და იმისთვის, რომ არ შეასრულეს დაკისრებული მისია“.[1]

მეტად მნიშვნელოვანია, რომ პრომეთე ბალკანურ მართლმადიდებლურ კულტურაშიც ასევე არის წარმოდგენილი როგორც ლიუციფერი (სატანა). გარკვეული ძალების მეცადინეობით მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში მოხდა პრომეთეს ხატის გაკეთილშობილება და მისი პოპულარიზაცია როგორც საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობის ერთ-ერთი კერპის. ბუნებრივია, რომ ეს ათეისტური პოლიტიკური პროექტი იყო მიმართული ტრადიციული სარწმუნოებების წინაამღდეგ და მიზნად ისახავდა საზოგადოების ფართე ფენების გადმობირებას გლობალურ პოლიტიკურ მოძრაობაში.

დიდი ოსი მეცნიერის ვასილი აბაევის აზრით, ოსური მითოლოგიის ისეთი პერსონაჟები როგორებიც არიან - ართაუზი, სამელი, რაიმონი, ძაღლები და ა.შ. წარმოადგენენ „პრომეთეისტულ“ ტიპს. ამიტომ პრომეთეს „კაცთმოყვარეობა“, რომელიც იყო აყვანილი ათეისტური პროპაგანდის უზენაეს მწვერვალში, წარმოადგენს პირველ რიგში სარწმუნოებასთან ბრძოლის იარაღს.

ოსი ხალხის მეხსირებაში ასეა დაფიქსირებული უასტირჯის ხატი - „იგი თეთრწვერა, თეთრ ცხენზე ამხედრებული წმინდანია. მკვლევართა აზრით, ვასტირჯი გახალხურებული წმ. გიორგია“.[1] აქ შესაძლებელია რომ გამოვთქვათ მოსაზრება - არა „წმინდა გიორგი“, არამედ სავარაუდოთ უასტირჯის ქართული ანალოგი - ქართული წარმართული კერპი - „თეთრი გიორგი“.

„თეთრი გიორგი“, ისევე როგორც „უასტირჯი“, მთავარი მამრული საწყისის განმასახიერებელ მთვარის კულტთან იყო დაკავშირებული. ი. ჯავახიშვილს ამის თაობაზე ქართული სადღესასწაულო ჩვეულებები და ხატობები მოჰყავს: “მაშასადამე, თეთრი გიორგობა 14-15 აგვისტოს და ღამით იმიტომ არის ხოლმე, რომ ეს

ხატობა წარმართობის დროინდელი მთვარის ხატობის ალაგას არის და თეთრი გიორგის მთვარის ღვთაების, მთვარის მაგიერი ადგილი უკავია".[1]როგორც წარმოადგენდა ზვიად გამსახურდია „ქართველი ერის ეროვნულ მისიაში“ – „საქართველოში ქრისტიანობამ მიიღო გიორგიანობის სახე“.[1] იგი ეყრდნობოდა ივანე ჯავახიშვილს და ამავე ნაშრომში აღნიშნავდა, რომ „წმინდა გიორგის კულტი საქართველოში უპრეცედენტო მოვლენაა. ჩვენ გვაქვს შემთხვევები სამების, ქრისტეს დღესასწაულების, აღდგომის დღესასწაულების "შთანთქმისა" წმინდა გიორგის დღესასწაულის მიერ, მათ სახელობაზე აგებული ტაძრები იდენტიფიცირებულია წმინდა გიორგისთან. ე.ი. წმინდა გიორგი იდენტიფიცირებულია ღმერთთან. ეს არის სახე ღვთისა და არა მხოლოდ კონკრეტული წმინდანი“.

საინტერესოა, რომ საქართველოში ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით - სახელ გიორგის ატარებს 192 876 მამაკაცი. მეორე ადგილზეა სახელი დავითი - 67 927. ჩვენ ვხედავთ რაოდენ დიდი განსხვავებით ლიდერობს ეს სახელი.[1]

ვლადიკავკაზში სტატისტიკა გვაჩვენებს რომ პირველ ადგილზეა სახელი „დავითი“, მეორეზე „გიორგი“, ხოლო მესამეზე - „ალანი“. ასევ მნიშვნელოვანია, რომ ხორციელდება ტრადიციული ოსური სახელების და გვარების პოპულარიზაციის საინფორმაციო პოლიტიკა.[1] ცხინვალს რაც შეეხება ინფორმაცია ვერ მოვიპოვეთ, მაგრამ სოციალური ქსელებიდან ჩანს აქტიური პოპულარიზაცია სახელების „ალანი“ და „სარმატი“, რაც ოსური დექრისტიანიზირებული ეთნოკრატიული პროექტის განუყოფელ ნაწილად ჩამოყალიბდა.

წმინდა გიორგისთან იდენტობა წარმოადგენს ქართულ-ოსური სამშვიდობო პროცესისათვისაც უდიდეს სტრატეგიულ რესურს. ეს იდენტობა არის როგორც რელიგიური, ასევე სამოქალაქო და სახელმწიფოებრივი.

პუბლიკაცია მომზადდა შოთა რუსთაველის სახელობის მეცნიერების ფონდის დოქტორანტთა მხარდამჭერი სტიპენდიის ჩარჩოში და მიზნად ისახავდა სამშვიდობო პროცესებში გამოუყენებელი რესურსების კვლევას.

ბიბლიოგრაფია:

1. სალომე აჩბა - „ოსი ხალხის რელიგიური იდენტობა“ - http://religiebi.info/index.php?a=main&pid=89&lang=geo.
2. ზ. გამსახურდია - „საქართველოს სულიერი მისია“ - ლექცია წაკითხული "იდრიატის" ფესტივალზე თბილისში 1990 წლის 2 მაისს - http://www.amsi.ge/istoria/zg/missia.html.
3. Михаил Мамиев - кандидат исторических наук – «Святой Георгий в осеинской религиозной традиции» - 9 декабря 2010 г. - https://pravoslavie.ru/43361.html.
4. Таказов Ф. М., Кусаева З. К. ОБРАЗ АРТАУЗА В РЕЛИГИОЗНО-МИФОЛОГИЧЕСКИХ ВОЗЗРЕНИЯХ ОСЕТИН // Современные проблемы науки и образования. – 2014. – № 6.;URL: http://www.science-education.ru/ru/article/view?id=15883 (дата обращения: 18.11.2020).
5. https://intpass.sda.gov.ge/NameStatistics.aspx?type=popular.
6. „В начале 2019 года мальчики в республики рождались чаще, чем девочки, отметили в ЗАГСе“. https://sputnik-ossetia.ru/North_Ossetia/20190423/8482838/Nazvany-samye-populyarnye-imena-novorozhdennykh-v-Severnoy-Osetii.html.